



ს.ს.ი.პ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო

ბრძანება

N 2-915

20/07/2015

ქ. თბილისი

სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს შინაგანაწესში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე და 61-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 24 ივლისის N2-153 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესის მე-13 მუხლი ჩამოყალიბდეს დანართი N1-ის შესაბამისად.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 24 ივლისის N2-153 ბრძანების მე-3 პუნქტით დამტკიცებული შვებულების მოთხოვნის ფორმა (დანართი N3) და მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. დამტკიცდეს შემოვლის ფურცლისა (დანართი N4) და ხელშეკრულების შეწყვეტის (დანართი N5) ტიპური ფორმები.“

3. მე-12 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 12.6 პუნქტი:

„12.6 დასაქმებული ვალდებულია სამსახურებრივი მივლინებიდან დაბრუნების შემდგომ, არაუმეტეს 3 სამუშაო დღის ვადაში, სააგენტოს თავმჯდომარის სახელზე წარმოადგინოს მოხსენებითი ბარათი მივლინების განმავლობაში განხორციელებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით.“

4. დაევალოს სსიპ - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს საქმეთა მმართველს - მარინე დოსმიშვილს სააგენტოში დასაქმებულ პირთათვის ბრძანების გაცნობა.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი მიშელაძე

თავმჯდომარე

„მუხლი 13. შვებულება და მისი მიცემის წესი

13.1. დასაქმებულს უფლება აქვს ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით წელიწადში 24 სამუშაო დღით, ხოლო ანაზღაურების გარეშე შვებულებით - წელიწადში 15 კალენდარული დღით. მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია შვებულების მთლიანად ან ნაწილ-ნაწილ გამოყენება.

13.2. დასაქმებულს შვებულების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა მუშაობის 11 თვის შემდეგ. სააგენტოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით (ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით) დასაქმებულს შვებულება შესაძლოა მიეცეს აღნიშნული ვადის გასვლამდეც. მუშაობის მეორე წლიდან დასაქმებულს მხარეთა შეთანხმებით შვებულება შეიძლება მიეცეს სამუშაო წლის ნებისმიერ დროს.

13.3. შვებულებაში არ ითვლება დროებითი შრომისუნარობის პერიოდი, შვებულება ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო, შვებულება ახლადშობილის შვილად აყვანის გამო და დამატებითი შვებულება ბავშვის მოვლის გამო.

13.4. დასაქმებულს უფლება აქვს ერთდროულად მოითხოვოს ზედიზედ მხოლოდ 10 (ათი) სამუშაო დღე ანაზღაურებადი შვებულება. შვებულებებს შორის პერიოდი განისაზღვრება სულ მცირე 10 სამუშაო დღით.

13.5. ანაზღაურების გარეშე შვებულების აღებისას დასაქმებული ვალდებულია 2 კვირით ადრე გააფრთხილოს დამსაქმებელი შვებულების აღების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაფრთხილება შეუძლებელია გადაუდებელი სამედიცინო ან ოჯახური პირობების გამო.

13.6. სააგენტოში სამუშაოს ნორმალური მიმდინარეობის ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლებელია სააგენტოს თავმჯდომარის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და დასაქმებულის თანხმობით შვებულების გადატანა მომდევნო წლისთვის. გადატანილი ანაზღაურებადი შვებულების დღეები დაემატება შემდეგი სამუშაო წლის ანაზღაურებადი შვებულების 24 სამუშაო დღეს. აკრძალულია ანაზღაურებადი შვებულების გადატანა ზედიზედ 2 (ორი) წლის განმავლობაში.

13.7. თუ დასაქმებული საკუთარი სურვილით არ ისარგებლებს შვებულებით მიმდინარე წლის განმავლობაში, შვებულების გამოყენებული დღეები არ გადაიტანება მომდევნო კალენდარული წლისთვის და არ გაიცემა დამატებითი ანაზღაურება.

13.8. განსაკუთრებულ შემთხვევებში, სააგენტოს თავმჯდომარის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შესაძლებელია ანაზღაურებადი შვებულების შეწყვეტა, დარჩენილი დღეების შემდგომი გამოყენების უფლებით. ეს წესი არ ვრცელდება ორსულობის, მშობიარობის, ბავშვის მოვლისა და ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებაში მყოფ პირებზე.

13.9. ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.10. დასაქმებულის საშვებულებო ანაზღაურება განისაზღვრება ბოლო თვის ანაზღაურებით.“